დანართი N1

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერისტეტის ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებათა საჯაროდ გამოქვეყნების წესი

1. ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების - ფაკულტეტის საბჭოს კონკრეტული ოქმის/ოქმის ამონაწერის, საბჭოს მიერ საჯაროდ გამოქვეყნების მიზანშეწონილობის განსაზღვრის შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილება - ოქმი/ოქმის ამონაწერი არ შეიცავს პერსონალურ ან პირის მაიდენტიფიცირებელ მონაცემებს, საბჭოს უფლებამოსილი იქნება გამოაქვეყნოს იგი უვადოდ.

2. ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების - ფაკულტეტის საბჭოს კონკრეტული ოქმის/ოქმის ამონაწერის, საბჭოს მიერ საჯაროდ გამოქვეყნების მიზანშეწონილობის განსაზღვრის შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილება - ოქმი/ოქმის ამონაწერი შეიცავს პერსონალურ ან პირის მაიდენტიფიცირებელ მონაცემებს, საბჭო უფლებამოსილი იქნება გამოაქვეყნოს იგი უვადოდ, იმ პირობით, რომ ყველა პერსონალური თუ პირის მაიდენტიფიცირებადი მონაცემი იქნება დაფარული.

3. იმ შემთხვევაში თუ ფაკულტეტის საბჭო არ იხელმძღვანელებს ზემოხსენებული პირველი და მეორე პუნქტებით გათვალისწინებული წესით და მიზანშეწონილად ჩათვლის გამოაქვეყნოს თავის გადაწყვეტილება - ოქმი/ოქმის ამონაწერი, რომელიც შეიცავს პერსონალურ ან პირის მაიდენტიფიცირებელ მონაცემებს, გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას, საჯაროდ გამოქვეყნების მიზნით გამოყენებული უნდა იქნას ქვემოთმოცემული ზღვრული ვადები (ფაკულტეტის საბჭოსთვის უნივერისტეტის წესდების მე-20 მუხლით დადგენილი უფლებამოსილებების შესაბამისად):

ა) მე-20 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტისათვის - საჯაროდ განთავსების ვადა განისაზღვროს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ უნივერსიტეტის ბიუჯეტის დამტკიცების აქტის გამოცემის და ძალაში შესვლის მომენტამდე.

ბ) მე-20 მუხლის ,,ბ“, ,,ვ“, ,,ზ“ და ,,თ^{1}“ ქვეპუნქტებისათვის - საჯაროდ განთავსების ვადა განისაზღვროს მიღებული გადაწყვეტილების კანონმდებლობით დადგენილი წესით გასაჩივრების ვადის გასვლის მომენტამდე.

გ) მე-20 მუხლის ,,გ“, ,,დ“, ,,ე“, ,,ვ^{1}“, ,,ვ^{2}“ ,,ვ^{3}“, ,,თ^{2}“, ,,თ^{3}“ და ,,თ^{2}“ ქვეპუნქტებისათვის - საჯაროდ განთავსების ვადა განისაზღვროს დამტკიცებული დოკუმენტების ახალი ვერსიების დამტკიცების ან მიღებული გადაწყვეტილების ჩამნაცვლებელი აქტის მიღების მომენტამდე.

დ) მე-20 მუხლის ,,ვ^{4}“ ქვეპუნქტისათვის - საჯაროდ განთავსების ვადა განისაზღვროს შესაბამისი საგანმანათლებლო წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ფაკულტეტის შესაბამის პროგრამებზე სტუდენტთა ჩარიცხვის პროცესის დასრულების მომენტამდე,

ე) მე-20 მუხლის ,,თ“ ქვეპუნქტისათვის - საჯაროდ განთავსების ვადა განისაზღვროს დეკანის მოვალეობის შემსრულებლობის ვადის ამოწურვამდე.

ვ) გარდა ზემოხსენებული უფლებამოისლებებისა, სხვა შიდასამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული უფლებამოსილებების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებების საჯაროდ გამოქვეყნების მიზანშეწონილობის დადგენისას საჯაროდ განთავსების ვადა განისაზღვროს შესაბამისი გადაწყვეტილებების კანონმდებლობით დადგენილი წესით გასაჩივრების ვადის გასვლის მომენტამდე ან დამტკიცებული დოკუმენტების ახალი ვერსიების დამტკიცების ან მიღებული გადაწყვეტილების ჩამნაცვლებელი აქტის მიღების მომენტამდე.